№ 83 25 მკათათვე, პარასკევი 1866—1875 25 მკათათვე, პარასკევი № 83

# დროება

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

РЕДАКЦІЯ

მოღნინის (აბას-აბატის) მაედანზე, ულორლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

Ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციფრებით, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვებს, რედაქტორი გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

შეიძლება: თფილისში, რედაქციის კანტორაში (ადრესი გაზეთის სათაურში ნახეთ) და გარეშე ქალაქებში — „დროების“ აგენტებთან.

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (ე. ი. 1 ივლისიდამ ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდი) გაგზავნით და გაუგზავნელად—4 მან. და 50 კაპ.

---

რადგან ორშაბათი და სამშაბათი უქმი დღეები იყო, ამის გამო ოთხშაბათის ნომერი არ გამოსულა.

# საქართველო

## ისეთმა ფურმა დამწიხლოს...

(ბუძღვნი გაზ. „კავკაზს“)

—

სომხურმა გაზეთმა „მშაკმა“ დაბეჭდა ამას წინათ ერთი სტატია, რომელშიაც მოყვანილი იყო ის ჰაზრი, რომ თუმცა კავკასია მჭიდროთ არის რუსეთთან პოლიტიკურად, ეკონომიურად და ზნეობით დაკავშირებული, მაგრამ რუსეთის ჟურნალისტიკა ჩვენს მხარეს ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევსო; არც ადგილობრივი და არც სატახტო გაზეთები თითქმის სრულიად არ ეხებიან კავკასიასო, არ ცდილობენ სომხური და ქართული გაზეთებიდამ მაინც გამოკრიბონ საინტერესო ცნობები ჩვენს მხარეზეო და ამნაირად გააცნონ კავკასია რუსეთის ხალხსაო.

ამის წინააღმდეგის თქმა არ შეიძლება.

მაგრამ რაც შეეხება ამის ახსნას, ამის მიზეზის განმარტებას, ვერ ვიტყვით, რომ სატახტო გაზეთების მხრით ამ შემთხვევაში მარტო დაუდევრობა და უყურადღებობა იყოს მიზეზი.

უფრო მოგვწონს ის ახსნა ამ გარემოებისა, რომელიც „თფილისის მოამბეს“ მოჰყავს. ის ამბობს, რომ პროვინციალურ გაზეთებს ამ ჟამად ძალიან ხშირად არ შეუძლიანთ ადგილობრივი ცხოვრების ისეთს მხარეებს შეეხონ, რომელნიც უფრო საინტერესონი არიანო, სხვა და სხვა გარემოება ნებას არ აძლევსო იმათ, რომ პროვინციის ცხოვრების საკეთ იყვნენ, რომელშიაც ნათლად გამოჩნდებოდეს ყოველივე, რაც ყურადღებისა და ხილვის ღირსიაო.

ჩვენმა ოფიციალურმა გაზეთმა „კავკაზმა“ კი სულ სხვა მხრივ შეხედა ამ საქმეს. იმის აზრით, უმთავრესი მიზეზი იმ გარემოებისა, რომ სატახტო და ადგილობრივი რუსული გაზეთები სომხურ და ქართულ გაზეთებს ყურადღებას არ აქცევენს, არის, რომ იმათში ისეთი რამეები იბეჭდება, რომელსაც კაცი ვერ დაენდობაო და რომელიც სრულებით საინტერესო არ არისო. „მშაკის“ რედაქტორი გაზეთის დაარსებიდამვე ყველაზე უფრო მომეტებულს თავის თავზე, თავის „მე“—ზე სწერსო და საეკლესიო საქმეებისა და შკოლების თაობაზე ეკინწლავება მეორე სომხურ გაზეთს „მელუ აიასტანისს“.

ჩვენი „დროება“ კი, პატივცემული „კავკაზის“ აზრით, წმინდა იმერული გაზეთია და ისეთს ამბებს ბეჭდავს, რომლის დაჯერება შეუძლებელია, ქვეყნის ნამდვილ მდგომარეობას ამ გაზეთში ვერ დაინახავთო, სულ მოგონილი ამბები სწერიაო, როგორც მაგალითად ამას წინათ მცხეთაში ერთი მღვდლის თავის მოკვლა და ეკლესიის გაქურდვა გვაცნობაო და სხვ. და სხვ.

ბოლოს „კავკაზი“ მოგვმართავს ჩვენ, ადგილობრივ გაზეთებს, და გვეუბნება: სანამ თქვენი რედაქციებიდამ არ განდევნით ისეთს თანამშრომელებს, რომელნიც ტყუილ ამბებსა და შეუსაბამო სტატიებს იწერებიან, მანამ ნუ მოელოდითო, რომ „კავკაზმა“ თქვენს ნაწერებს ყურადღება მიაქციოსო (?).

მოდით და ნუ გაგვეცინებათ ამისთანა სიტყვებზე! ეაცს ეგონება, მართლა, რომ ჩვენ მუხლ-მოდრეკით ვეედრებით გაზეთს „კავკაზს“, რომელიც თვითონ მხოლოთ თავის ოფიციალური მხრით არის ყურადღების ღირსი, რომ ჩვენ ყურადღება მოგვაქციოს!

„ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომ ჩემზე მეტს იწველიდესო“. ისეთმა გაზეთმა მოგვცეს შენიშვნები და დარიგება, რომელსაც ჩვენზე უკეთ ესმოდეს და მიჰყავდეს გაზეთისა და საზოგადოთ ჟურნალისტიკის საქმე!

თორემ „კავკაზის“ შენიშვნებს, იმ „კავკაზის“, რომლის ფურცლები უაზრო მოდებ-მიდებითა, ფუტურო სტატიებითა და ფელტონებით არის სავსე, რომელიც წელიწადებს ისე ატარებს, რომ კავკასიის მხარეზე, აქაური ხალხის მდგომარეობაზე და საჭიროებაზე ორ სიტყვისაც არ ამბობს, რომელიც, როგორც ამას წინათ ვსთქვით, ყველაზე უფრო საშუალ-აზიის საქმეებს ეტანება, რომელიც მთელ სტატიებს სხვა გაზეთებიდამ ჭკრეფავს, რომელმანც თვითონ ამას წინათ გამოაცხადა ბელაევის ცოლის სიკვდილზე ისეთი ამბავი, რომელიც მხოლოთ რედაქციის ფანტაზიის ნაწარმოებია, — ვამბობთ, ამისთანა გაზეთის შენიშნვებსა და დარიგებას რა მნიშვნელობა, რა ძალა უნდა ჰქონდეს?

უმორჩილესად ვსთხოვთ უფ. „კავკაზის“ რედაქტორს გაიხსენოს ის დრო, როდესაც იმას გაზეთის გამოცემა მიანდეს და ორს „დროების“ თანამშრომელს (რომელთაც, თუ საჭიროება მოითხოვს, დავასახელებთ) სთხოვდა, რომ იმის გაზეთში ეწერა, რისთვისაც წელიწადში ას ორმოც-და-ათ თუმანს ჰპირდებოდა!

თუ იმისთანები არიან „დროების“ თანამშრომელნი, თუ იმათ ერთი სიტყვაც არ დაეჯერებათ, მაშ რად გინდოდათ ისინი თქვენს გაზეთში? რად სთხოვდით თანამშრომელობას? რად სთხოვდით, რომ რაც „დროებაში“ იბეჭდება, ის მაინც ეცნობებინათ თქვენთვის?

მაგრამ მაშინ თქვენ გამოუცდელი იყავით (?), მაშინ არ იცოდით, რომ ხშირად ხსენება თქვენს გაზეთში ადგილობრივი გაზეთების სახელისა შეიძლებოდა თქვენთვის მაცნებელი შექნილიყო, რადგან ოფიციალური მკითხველები ამ გაზეთებს დაიბარებდნენ და თქვენსას კი მიატოვებდნენ.

ახლა კი უფრო გამოცდილი რედაქტორი (?) ბრძანდებით: ახლა კარგათ გესმისთ პრაქტიკული მხარე გაზეთის გამოცემისა, გინდათ, რომ თქვენმა მკითხველებმა სხვა გაზეთების არსებობაც არ იცოდნენ....

ეს ვაჭრული ანგარიში გახლავთ ნამდვილი მიზეზი, რომ თქვენ არაფერს არ გარდაჰბეჭდავთ ხოლმე ადგილობრივი ქართული და სომხური გაზეთებიდამ; თუმცა, რასაკვირველია, ამაშიაც როგორც საზოგა-

# ფელტონი

## დიდი კაცები

### როგერტ ბუენი

—

ახლანდელი კაცობრიობა ორ დიდ ბანაკად, ორ ნაწილად არის გადაქცეული.

ერთი ნაწილი ძალიან ცოტას მუშაობს, ცოტას რასმე აკეთებს, მაგრამ მაინც შეძლებული, მდიდარი და კმაყოფილია . . . . . .

მეორე ნახევარი კაცობრიობისა მოუსვენრად შრომობს, ოფლსა ღვრის, დაუღალავად ეძებს ლუკმა-პურს, — მაგრამ მაინც სულ ღარიბია და მშიერი. . . . .

×

სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ქვეყნებში ხშირად ამოჩენილან ისეთი კაცები, რომელთაც კარგათ გაუგიათ ამ გვარი წყობილობის უსაფუძველობა, უცდიათ კიდეც იმის საბოლოოთ მოსპობა და საუკეთესო წესის დადგენა; უცდიათ ისე გაემართათ მთელი კაცობრიობის ან მხოლოთ თავის საზოგადოების ცხოვრება, რომ ნამდვილ მშრომელს ნამდვილი ჯილდო მისცემოდა თავის შრომისა. . . .

ამ გვარ კაცებში ერთი უპირველესთაგანი ალაგი, უეჭველია, როგერტ ბუენს ეკუთვნის.

×

ბუენი დაიბადა ინგლისის ქალაქს ნჰუტონში, 1771 წელს; ის იყო უბრალო ღარიბი დედ-მამის შვილი. არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ აქ, სხვათა შორის, რომ რაც დედა-მიწაზე ოდესმე გამოჩენილი, კაცობრიობის წინ-წამწევი და ერთი სიტყვით, რაც დიდი კაცი ყოფილა, ყველანი ღარიბი დედ-მამის შვილები, ღარიბი ცხოვრებიდამ გამოსულნი ყოფილან. ეს ადვილათაც გასაგებია: მხოლოთ ღარიბები დაეძებენ და ცდილობენ გაჭირვებიდამ და შევიწროებული ცხოვრებიდამ გამოსვლას, და როდესაც თავიანთი თავის დახსნაზე ფიქრობენ, უნებურათ იმ დროს იმავე მდგომარეობაში მყოფი თავის მოძმეებიც ახსენდებათ. მდიდრები კი კმაყოფილნი არიან ამა ცხოვრებისა...

რობერტის დედ-მამას, როგორც საზოგადოთ ყოველ ღარიბ ოჯახს, უნდოდა, რომ იმათ შვილს ისეთი ხელობისთვის მოეკიდნა ხელი, რომ საბოლოოთ ლუკმა-პური ჰქონებოდა: ის მიაბარეს ერთს მედუქნეს შაგირდათ.

პატარაობითვე ის გასაოცარი დამკვირველი და გამჭრიახი ყმაწვილი იყო და ინგლისისა და შოტლანდიის ქალაქებში სავაჭროთ მოგზაურობამ ბევრი გამოცდილება და ჭკუა შესძინა. ოცი წლის კარგა გამოცდილი, წინდახედული და ვაჭრობაში დახელოვნებული ახალგაზდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოთ ხშირად. შემცდარი ბრძანდებით...

ამას გარდა, თავმოყვარეობა ნებას არ გაძლეეთ, იმ გაზეთების მასალებით ისარგებლოთ, რომელთაც თქვენ ხშირად სამასხაროთ აუგდიხართ, რომელნიც თქვენს რედაქტორობას ლიმილით შესცქერიან და თქვენი მოწინავე სტატიებისა და ბოდვის მსგავსი ფელეტონების კითხვის დროს მწუხარებით ჰფიქრობენ იმ მკითხველების მდგომარეობაზე, რომელნიც, იქნება, ამ თქვენს ბოდვას ძალა-უნებურად ჰკითხულობენ.

ს. მესხი

---

**უმოკრჩილესად ვსთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელთაც შარშანდელი ანუ წლევანდელი გაზეთის ფული ჯერ არ შემოუტანიათ, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ.**

---

## დღიური

—

□ ბამოვიდა უმაღლესი განკარგულება, რომლის ძალითაც ჩვენს ქალაქში მყოფი სამხედრო პროგიმნაზია გადაიყვანება ქ. ვლადიკავკაზში და მის ნაცვლად თფილისში არსდება სამხედრო გიმნაზია. წლევანდელი წლიდამ ყმაწვილების გზავნა კავკასიის აქეთა და იქითა მხრიდამ რუსეთის სამხედრო გიმნაზიებში მოისპობა. შემდეგ №-ში დავბეჭდავთ ამ გიმნაზიის წესდებას.

□ უფ. X-ს. გვთხოეს შემდეგ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება, რომელსაც განსაკუთრებით იმერეთის გლეხებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვსო:

თუმცა სასამართლოებში მოსამსახურე პირებს გზის (პრაგონის) ფული საკმაოდ უძლეევიათო, მაგრამ ჩვენში, იმერეთში, ხან-და-ხან ზოგიერთის იმათი სოფელ-სოფელ მოგზაურობა ხალხს ძვირად უჯდებაო. ხშირად მომჩივან—მოპასუხემ ცხენი უნდა მოუყვანოს, სადილათ დაჰპატიჟოს და როგორც რიგია გაუმასპინძლდესო.

□ ბაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ ამ მოკლე ხანში გამოვაო შესანიშნავი თხზულება, რომელსაც ერქმევა სახელად „შამილი“ და რომელიც არის ვიღაც უ. ი. ი. რუმიანცევის თხზულებაო. ამ თხზულებაში სრულებით ახალი შეხედულება არის გაყვანილიო შესახებ შამილის მფლობელობაზე დაღესტანშიო. ვნახოთ...

□ წვიმები კიდევ არ გვასვენებს ორ დღეს რომ კარგი ამინდია, იმედი უნდა გქონდესთ, რომ მესამეს უეჭველად წვიმა მოვა. იკითხოს სოფლის გაჭორებულმა ხალხმა...

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

ბორი, ივლისის 19-ს

ვისაც უნდა ჩვენი ბორის ნახვა, აი ეხლა არის მშვენიერი დრო.

რამდენიმე დღის უწვიმობამ და ორი-სამი დღის ქარმა ტალახის ოკეანები სრულებით გააშრეს ქუჩებში, ასე რომ თავისუფლად შეგიძლიანთ როცა გნებავსთ, თუ გინდ წყვდიად ღამეში, გაიარ-გამოიაროთ, არ დაგჭირდებათ ტალახის მორიდება.

მაგრამ ეს კიდე არაფერი. თუ გინდა წინანდლურად იყვეს ტალახი, მაინც სხვა, არა ჩვეულებრივი, ბორია ეხლა ბორი.

არ გეგონოსთ, რომ ქუჩებში ისევ ისეთი საშინელი და გულის მომკვლელი სიჩუმე იყოს, როგორც წინეთ. არა; ეხლა ის სიჩუმე აღარ არის; ნაცვლად მისა ეხლა „დახტიან და ხმაურობენ;“ ყოველ გვარი თავის შესაქცევარი და დროების მომკვლელი საშუალებაების წყალობით, ეხლა აქ ყველა ხარობს... აფიცრები ბლომათ, წინანდელზედ ორ წილად მეტი, სალდათებიც აქ შემოკრბნენ.

ამის გამო ახლა გინდა ლაგირში გაბრძანდებით, გინდა როტონდის ბაღში და დასტკბებით მუზიკის ხმით. აბა როტონდის ბაღს რაღა სჯობია ეხლა, როდესაც გააღეს, გაახალეს და გაიმართება ტანციობა და სხვა გვარი თამაში.

ტანციობის საღამო კიდევაც იყო, მაგრამ პირველ ღამეს ცოტა არ იყოს ვერ წავიდა საქმე ისე, როგორც უნდოდა, რადგან ამ ღამეს ქალების კავალერები ძრიელ ცოტა აღმოჩნდა და ბარე ორი ნატუა და ძესუა წაბრძანდა კუდ ამოძუებული. თუმცა კარგი ციცი ქარი იყო, მაგრამ ამ მანდილოსნებს მაინც თითო კვადრატული საჟენის ოდენა მარაოები დაეჭირათ ხელში და ისე შებრძანდნენ ზალაში. (ალბათ წინათვე უფიქრნიათ, რომ რაც უნდა ციოდეს, მაინც იმდენს იხტუნავებდნენ, რომ საჭირო იქნება გასაგრილებელი იქონიონ.)

ჩვენი როტონდა შესდგება ერთი ზალისაგან და სამი პატარა ოთახებისაგან. ზალა, მორთული სკამებით, დანიშნულია სატანციოთ, ორი-ოთახი—კარტის სათამაშოთ და მეოთხე—ქალების მოსართავად; (ეს ოთახი ერთ ქალს აბარია, რომელსაც მომზადებული აქვს ბოჭკობით პუდრი.)

როტონდასთან მშვენიერი ბაღი, აქა-იქ არხებ გაყვანილი, კარგი ჰაერი და მტკვარი იქვე, რომ ვინიცობაა, გული შეეულონდეს „დამას,“ კავალერს წყალი ახლო ჰქონდეს.

მისაც ბევრი ხტუნაობით ფეხებზედ მაზოლი ასჩენია ან აუჩნდება, ამის ექიმიც აქ არის ეხლა!

ესეც ასე. „სკუჩნობაა, სკუჩნობაა!“ ‹ძახდნენ გორელები და ახლა მაინც აღარ იქნება „სკუჩანობა.“

ზემო ნათქვამს დაუმატეთ, რომ რაღაც პკნიკი და ბალებიაო, რომ იტყვიან, აქ ხშირათ არის ხოლმე...

საჯავახელი

---

# რუსეთი

✠ ქალაქში მიღებული დეპეშა გვატყობინებს, რომ სენატს დაუდგენია განჩინება იმ ცხრა ბრალდებულებზე, რომელთაც ხალხში პროკლამაციებისა და სოციალური ქადაგების გავრცელებას აბრალებდნენ; ყველანი დამნაშავედ უცვნიათ და შემდეგი დასჯა გადაუწყვეტიათ: ორი სტუდენტი და ორი მოქალაქე გაუგზავნიათ კატორგაში 6-დამ 10 წლამდი; სამი სალდათისათვის ოცდა ერთი თვით სამხედრო-გასაწრთვნელ როტაში გაგზავნა და ორი სტუდენტისთვის—დატუსაღება.

✠ ბაზ. „ხმას“ ერთს ნომერში მოყვანილია ანგარიში 1874 წ. ყრუმუნჯების შკოლისა, საიდამაც ვტყობულობთ, რომ შკოლაში 1 იანვრიდამ 1874 წ. იყო 103 მოსწავლე მამრობითი სქესისა და 64 მდედრობითისა; 1874 წლის განმავლობაში გამოსულან შკოლიდამ 26 კაცი, 20 ქალი; შესულან 34 ვაჟი, 21 ქალი, ასე რომ 1 იანვარს 1875 წ. საზოგადო რიცხვი მოსწავლეთა ყოფილა: 111 კაცი, 65 ქალი, სულ 176. 1874 წ. 8 დაუსრულებია სრული კურსი, რომელთაგანაც ოთხს ვაჟს ჩინის მიღების ნება მიუღიათ.

✠ 1 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულა წესდება იმ სახლისა, რომელშიაც იცხოვრებენ სულიერი ავათმყოფები, დაფუძნებული მისი იმპერატორებითის უმაღლესობის ხელმწიფის მემკვიდრისა და დიდი თავადის ალექსანდრე ალექსანდრეს ძისაგან. სახლს, სადაც ცხოვრებენ სულით ავათმყოფები და რომელიც მისი იმპერატორების უმაღლესობის ხელმწიფის მემკვიდრის მფარველო-

---

შეიქნა. ამ ხანებში ის შეუამხანაგდა ერთ საქსოვ-ფაბრიკის პატრონს, დელს, რომლის ქალიც შეირთო.

აი, ამ დროიდამ იწყება რობერტ ოუენის მოქმედება.

×

ნიუ-ლენერკის ფაბრიკა, რომელშიაც იმას წილი ჰქონდა, ძალიან ცუდს მდგომარეობაში იყო: თითქმის მუდამ დღე ორი ათასი კაცი მუშაობდა ამ ფაბრიკაზე; მაგრამ რადგან პატრონი (დელი) ცუდათ ექცეოდა იმათ და არც ხეირიან ქირას აძლევდა, ამიტომ მუშებიც გულ-აცურებულნი იყვნენ, ძალიან ზარმაცად მუშაობდნენ და უფრო ხშირად ლოთობდნენ. ისინი ხედავდნენ, რომ ბევრს იმუშავებენ თუ ცოტას, კარგათ თუ ცუდათ, სამყოფ ქირას მაინც ვერ აიღებდნენ და ვერ დაიკმაყოფილებდნენ ყველა თავის აუცილებელ საჭიროებას; ხედავდნენ, რომ იმათი მუშაობის ნაყობით უფრო ფაბრიკის პატრონი სარგებლობდა, ვიდრემ ისინი; რასაკვირველია, რომ ამისთანა მდგომარეობაში იმათ კარგათ და გულ-მოდგინეთ მუშაობის ხალისი არა ჰქონდათ. ამის გამო ფაბრიკის საქმეები თან-და-თან უკან მიდიოდა და პატრონს თან-და-თან აკლდებოდა შემოსავალი. ამ დროს ჩაუვარდა ხელში ოუენს ეს ფაბრიკა.

×

ოცი წლის ენერგიული ყმაწვილი დაფიქრდა ფაბრიკის მდგომარეობაზე და მალე მიხვდა იმის დაცემის მიზეზს. იმან გაიგო, რომ უმთავრესი მიზეზი ფაბრიკის საქმეების ცუდათ მსვლელობისა ის იყო, რომ პატრონსა და მუშებს შუა დანდობა არ იყო, რომ თვითონ მუშები არ ხედავდნენ სარგებლობას ერთგულად მუშაობაში. მაშასადამეო, ფიქრობდა რობერტ ოუენი, საქმე იმნაირად უნდა დავაწყო, რომ კარგათ მუშაობაში თვითონ მუშები ხედავდნენ თავიანთ საკუთარ სარგებლობას, რომ ფაბრიკის სარგებლობა იმავე დროს იმათთვისაც სასარგებლო იყოს; როდესაც საქმე ასე მოთავსდება, როდესაც მუშები დარწმუნდებიან, რომ მე იმათ მუშა-ხარიერთ არ უყურებ და ჩემი ე. ი. ფაბრიკის მოგება იმათი მოგებაც იქნება, ჰაშინ, უეჭველია, ისინი უფრო ხალისიანათ, კეთილ-სინდისიანათ და გულ-მოდგენეთ იმუშავებენო.

ამ მოსაზრებისა-და-გვარათ მოიქცა ოუენი და ბალე დარწმუნდა, რომ ის არ მოტყუებულა.

×

პირველად იმან ამოარჩია რამდენიმე უფრო ჭკვიანი და ერთგული მუშა, აუხსნა იმათ თავის განზრახვა და პლანები და სთხოვა, რომ დახმარებოდნენ ამ პლანების შესრულებაში. შემდეგ მოსპო ყველა ძალდატანებითი საშუალებანი, რომელსაც ადრენდელი ფაბრიკის პატრონი ხმაროობდა: თავის დღეში არავის არ დასჯიდა და არც ჯარიმას ახდევინებდა სიზარმაცისთვის ან ცუდათ საქმის გაკეთებისთვის. ცოტა ხანს შემდეგ იმან გააშენა მუშებითვის საზოგადო სახლი, სადაც ძალიან იაფ ფასათ შეეძლო ცოლიან და უცოლო მუშას დაეჭირა სუფთა, ნათელი საოდგომი. შემდეგ ამავე სახლში გამართა საზოგადო სადილები, სადაც ყველას შეეძლო მისულიყო და ეჭამათ. მაგრამ მუშები ხანდისხან მაინც კიდევ ლოთობდნენ სამიკიტნოებში; ამის მოსასპობელად იმან ფაბრიკის სამიკიტნო გამართა, სადაც თითქმის ნახევარ ფასად ჰყიდდა სასმელებს.

რასაკვირველია, რომ არც საოდგომში, არც სასმელ-საჭმელში, არც სხვა რასმეში, რასაც ფაბრიკა ყიდდა მუშებზე, ოუენი მოგებას არ დაეძებდა; სახლის ქირაში, სასმელ-საჭმელში და სხვა ყველაფერში ის სწორეთ იმდენ ფასს ართმევდა მუ-

ბის ქვეშ იქნება, აქვს მიზნად მოუპოვოს საფარველი განსაკუთრებით მოურჩენელი სულით ავათმყოფებს. ამასთანავე აქვს მიზნად მოამზადოს გამოცდილი თვალ-ყურის მჭერელნი ამგვარს ავათმყოფებზედ.

✠ „მოსკოვის უწყებები“ გვატყობინებენ, რომ 1 ივლისს, ეკატერინოსლავის გუბერნიის საერო კრების გახსნის დროს, გუბერნატორმა სთხოვა კრებას მიექცია ყურადღება იმ სამწუხარო ამბებისთვის, მოსავლის შესახებ, რომელიც ყველა მხრიდამ ისმის, და ამასთანავე სთხოვა მიეღოთ საშუალება მომავალი უბედურების შესამსუბუქებლად. თითქმის ყოველი მაზრის წარმომადგენელებმა გამოაცხადეს, თავის მხრით, სამწუხარო მდგომარეობა დათესილი მინდერებისა და დაამტკიცეს, რომ ბევრს ადგილას სათესლე პურსაც ვერ მოაგროვებენო; თვა, ზოგიერთა ადგილების გარდა, თითქმის არსად არ არისო. კრებამ მისცა გუბერნიის საერო უპრავას 50,000 მან. შემოდგომაზედ სათესლე ხორბლის სასყიდლათ და დასათესად. ამასთანავე მისცა ნება, თუ დასჭირდეს, სხვა ფულიც მოითხოვოს.

✠ „მართებლობის მოამბიდამ“ ეტყობილობთ, რომ, ივნისის განმაელობაში 69 გუბერნიაში და მაზრაში 2,255-ჯერ გაჩენილა ცეცხლი, რომელმაც 11,479,085 მანეთის ზარალი მისცა გუბერნიებს. ამ ფულიდამ ნახევარზე მეტი, 5,822,758 მ.ნეთი, ტამბოვის გუბერნიას ხვედება წილად.

✠ ხმა დადის, რომ ამ ცოტა ხანში მინისტრების რჩევაში თფილისიდამ ბაქომდინ რკინის გზის გაყვანის თაობაზედ იქნება ლაპარაკი.

✠ რუსული გაზეთი „ახალი დროება“ გვაცნობებს, რომ დავარდნილი ხმა, რომლითაც ეკრძალებოდათ ებრაელებს - ფოტოგრაფებს პეტერბურღში ცხოვრებაო, ამ დღეებში პოლიციის განკარგულებით გამართლდაო.

✠ როგორც რუსეთის გაზეთებიდამ სჩანს ამ უკანასკნელ დროში ერთობ ძრიელ გახშირებულა რუსეთში თავის ხელით თავის მოკვლა და დახრჩობა.

# უცხო ქვეყნები

**საფრანგეთი.** იმ შეტაკების თაობაზე, რომელიც ამ თვის 15-ს მომხდარა ნაციონალურ კრებაში ბონაპარტებსა და რესპუბლიკელებს შორის, ერთს ფრანცუზულ გაზეთში შემდეგს იწერებიან: რესპუბლიკელები ამტყუნებდნენ ბონაპარტიელებს იმ'ში, რომ ისინი დადიან ხალხში და აერცელებენ რესპუბლიკისთვის მავნებელ და იმპერიისთვის სასარგებლო წიგნებს. ხალხისთვის დანიშნულ წიგნებში იყო დაბეჭდილი: „ბაუმარჯოს იმპერატორს! დაიკარგნენ ღვდლები! დაიკარგნენ თავადები!“ იმ წიგნებში კი, რომელნიც ღვდლების ხელში გადადიოდ-გადმოდიოდა, იმპერია გამოჰყავდათ სასულიერო წოდების მომხრედ. რესპუბლიკისათვის მავნებელ ჰაზრებს, ასე გაშინჯეთ, ჯარებშიაც კი აერცელებდნენო. ამ საქმეში თვით რუსაც მიუღია მონაწილეობა. ამის შემდეგ პოლიციის პრეფექტს რენოს დაუწყეს კიცხვა იმაში, რომ ის მიდგომილებით იქცევა. რენოს იცავამდნენ ბჰიუფჭე და დჰიუფორი, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ რენო ისე იქცევა, როგორც პოლიციის პრეფექტს შეშვენისო. ბამბეტტამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ეხლა საფრანგეთში არის საიდუმლო საზოგადოება, რომელიც ჩამოგდებული დინასტიის სასარგებლოდ მოქმედობსო; მმართებლობა კი, ნაცვლად იმისა, რომ დაიცვას რესპუბლიკა, ის უფრო ეწინააღმდეგება მასაო; „ამ წამშიეე,—განაგრძელა ბამბეტტამ, — მინისტრმა უნდა გვითხრას, რომ იმის ეალდებულებაა მიიღოს საშუალება რამ ბონაპარტისტების წინააღმდეგ, და თუ ის ამას არ გვეტყვის, მაშინ ჩვენც აღარ დაევერწმუნებით იმასო.“

**ესპანია.** პარიჟიდამ იწერებიან, რომ კარლისტების სარდალი დორრეგარაი დაუჭრიათ და ამ ჟამად ბორტეში (ჩრდილოეთის საფრანგეთში) იმყოფება მოსარჩენადო. 2,000 კარლისტებიც საფრანგეთის სამფლობელოში გადასულან. ხმები ისმის, რომ თვით დონ-ქარლოსისთვისაც უსროლიათ თოფი, მაგრამ ვერ დაუჭრიათ.

**ოსმალეთი.** ბერცოგოვინში ეხლა არეულობა არის. ოსმალების ჯარი ბოსინის მცხოვრებლებს დასცემიან და ზოგიერთა მათგანი დაუტყვევებიათ. ამაზედ გაბრაზებულან ბოსინელები და სუყველანი აჯანყებულან. ოსმალოს ჯარი დასცემია აჯანყებულებს და გვარიანი ომი გაჩენილა; დიდხნის ომის შემდეგ ოსმალები იძლიენენ, რომელთაც 60 კაცი მოუკვდათ, მათ რიცხვში აფიცრებიც. აძბობენ, რომ დ-ჭრილებთ შორის სელიმ-ფაშაც არისო.

# ქრონიკა

29

## პიზონის ვინაობა და მისი მოქმედება

—

ზოგიერთი ისტორიკოსები ამბობენ, რომ ალექსანდრეს თვითონ არა ჰყვანდა ამოდენა ჯარიო და პიზონს—აბა საიდგანღა მისცემდაო. ამ ჰაზრს სრულიად არაევითარი საფუძველი არა აქვს. რაღა თქმა უნდა, რომ სპარსეთის დაპყრობის შემდეგ სპარსეთის ერთი მილიონი ჯარი იმას დარჩა, და აქედგან ასი ათასი ჯარის მიცემა ალექსანდრეს არ გაუჭირდებოდა.

აბრე, ამ სახით მე ვამტკიცებ, რომ აზონს ბერძნულად ერქო პიზონი ანუ პითონი, ქართულად აზონი და როგორც „ქართლის ცხოვრება“ ამბობს, ჰყვანდა ასი ათასი ჯარის კაცი.

ეჭვი არ არის, რომ „ქართლის ცხოვრება“ ამ პითონ—აზონის შესახებ ბევრს ცნობებს გვაძლევს, მაგრამ ამის ცხოვრების ისტორიული შემთხვევები ისრე არეულ-დარეულია, სხვა და სხვა პირების მოქმედების დროებში, რომ დიდი მოსაზრება და კრიტიკული განხილვა უნდა, რომ ისტორიული ფაქტები რიგზე დაეწყოს და გაირკვეს. ამ შემთხვევაში ისტორიკოსის მდგომარეობა მეტის-მეტად სამწუხაროა და შემაწუხებელი: მეტის-მეტად წუხდება და უძნელდება გარკვევა, ფაქტის ფაქტზე მოწყობა და შეთანხმება იმ ისტორიულ ცნობებთან, რომელნიც არიან გამოთქმულნი პითონის შესახებ დიოდორი სიკულიელისა, ქვინტ ქურციისა და სხვებისაგან.

მაგრამ მე მაინც ვეცდები შეეთანხმო „ქართლის ცხოვრებისაგან“ ნათქვამი აზონის სიკვდილის გარემოებაზე იმ ცნობებთან, რომელნიც შეეხებიან პითონის სიკვდილის გარემოებას და თუ ცოტაოდენი შეცდომა მომივა—ესეც იმისათვის, რომ არა მაქვს ხელში არაევითარი მასალა, გარდა „ქართლის ცხოვრებისა“ და შოპენისაგან გამოკრებილი ცნობებისა.

როგორც შოპენისაგან შეკრებილი ცნობები პითონის ცხოვრებისა, აგრეთვე ქართლის ცხოვრების ნათქვამი აზონის ცხოვრებაზე ამტკიცებენ, რომ ის ჯარები, რომელნიც პითონს-აზონს ჰყვანდა, ძალიან ემდუროდნენ და ურჩობას უწევდნენ. შოპენის სიტყვით ზემოთ ჩვენ ვსთქვით, რომ როცა ის გამოგზავნა პერდიკამ საქართველოს ბერძნების დასამშვიდებლად, იმას აჯანყებულებისათვის ენება არ უნდოდა, მაგრამ ჯარმა არ გაუგონა და აჯანყებულები ყველანი დახოცა. „ქართლის ცხოვრებაც“ ამბობს: ხოლო აზონმან მოუწოდა სპათა თვისთა და შემოკრიბნა მაშინ ათასი რჩეულნი მხედარნი რომთა-მათგანი, მაგრამ, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა

---

შებს, რამდენათაც თვითონ უჯდებოდა. ჩემი და ფაბრიკის მოგება ის იქნებაო, ამბობდა გულში ოუენი, რომ მუშები მუდამ მაძღარი, კარგათ ჩაცმული, ჯანმთელი და კმაყოფილი იქნებიანო. ჯანმთელი და კმაყოფილი კაცი სუსტზე და ლოთზე უფრო მომეტებულს იმუშაებს ყოველთვისაო.

მუშებმა მალე შენიშნეს, რომ იმათი ახალი პატრონი, ოუენი, სხვებს არ გვანდა, რომ ის პირუტყვებსავით არ უყურებს იმათ, რომ იმას მუშების კეთილდღეობა სურს. ამნაირათ პატრონსა და მუშებს შუა ერთმანეთის დანდობა და რწმუნება გაჩნდა: მუშებმა დაიქირავეს ოუენისაგან აშენებული სადგომი, დაიწყეს იმისაგან გამართული სადილების ჭამა და იმის სამეკიტნოში სიარული. ყველა მუშას პატარ-პატარა წიგნი ჰქონდა და ამ წიგნში სწერდნენ, რასაც დახარჯავდნენ; კვირაში ერთხელ, როდესაც ანგარიშის გასწორების დრო მოვიდოდა, ფაბრიკა დანახარჯს გამოურიცხავდა და დანარჩენს ფულად მისცემდა. მუშები დარწმუნდნენ, რომ ეხლა კვირის შემდგომ სამი მანეთის მიღება ერჩიათ, ვიდრემ ადრე რვა და ათი მანეთისა და ყველასი ვალში მიცემა.

×

ზარმაცობა აღარ არის ნიუ-ლენერკის ფაბრიკაზე; ლოთობა სრულიად მოისპო; თვითონ ამხანაგები (მუშები) არცხვენენ იმ ორიოდე ზარმაცს და ლოთს, რომელნიც არ განთავისუფლებულიყვნენ ამგვარი სენისაგან. რობერტ ოუენს მუშები პატრონსავით კი არ უყურებენ, ისე უყურებენ, როგორც თავის საუკეთესო ამხანაგს და მეგობარს. პირველად რომ ოუენმა ხელში ჩაიგდო ნიუ-ლენერკის ფაბრიკა, პატრონს მხოლოდ რამდენიმე ათასი მანეთი ჰქონდა შემოსავალი და ეხლა ერთ მილიონზე მეტია. მუშები კარგათ ცხოვრებენ, არაფერი არ აკლიათ, ერთგულად მუშაობენ, კმაყოფილნი არიან. პატრონები კიდევ უფრო გახარებულნი არიან. რამდენათაც ფაბრიკას შემოსავალი ემატება, იმდენიც მუშებსაც ქირა ემატებათ, იმდენათაც ისინი უკეთ ცხოვრებენ და ლონის-ძიება აქვთ, რომ ყოველი თავის მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ; ყველა დარწმუნებულია, რომ ფაბრიკის შემოსავალის მომატება თვითონ იმათი შემოსავლის მომატებაა; ფაბრიკას ისე უყურებენ, როგორც თავის საქმეს.

×

ფაბრიკასთანვე გამართა ოუენმა აგრეთვე შკოლა მუშების შვილებისათვის. ოუენამდი ხუთი-ექვსი წლის მუშის შვილი დაიარებოდა ნიუ-ლენერკის ფაბრიკაზე და ცოტა რასმე ეხმარებოდნენ თავიანთ ღარიბ დედ-მამას. არც კითხვა-წერა, არც არაევითარი სწავლა ყმაწვილებისთვის. ეხლა ოუენმა გამოაცხადა, რომ ათი წლის ნაკლებ ყმაწვილს არ მიიღებს ფაბრიკაზე; ათ წლამდი იმათ უნდა ეელოთ შკოლაში და საუკეთესო მეთოდით უნდა ესწავლათ წერა-კითხვა, ანგარიში, ცოტაოდენი ბუნების მეცნიერება და სხვა საგნები. არც დასჯა, არც საჩუქარი არ იყო ამ შკოლაში: ყმაწვილს ისე უნდა ასწავლოს მასწავლებელმაო, რომ სწავლა სასიამოვნოთ მიაჩნდესო, რომ თვითონ ცოდნის მიღება მიაჩნდეს იმას ჯილდოთაო; და თუ ის არ სწავლობს, ეს მასწავლებელის ბრალია და დარწმუნებული იყავითო, რომ ცემა-ტყეპა და საზოგადოთ დასჯა იმას სრულებით არაფრად მოეხმარებაო, სრულებით ვერ გაწრთენის და ვერც სწავლაში გამოადგებაო.

(დასასრული შემდეგ №-ში)

აზონისაგან, განუგდეს აზონს, და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა“.

ამ გვარად ცნობების ერთმანერთან შეფარდებიდგან მე გამამყავს, რომ აზონის სიკედილის შემდეგ იმისი ჯარები, როგორც ამბობს „ქართლის ცხოერება“, ფარნავაზს დარჩა;—ის ჯარი, რომელიც აზონმა მიდიისა და საქართველოს სამზღვარზე დაებანაკა და თვითონ ანტიგონთან წავიდა.

ეს რომ ნამდვილია, ამას ამტკიცებს აგრეთვე ფარნავაზის სახელიცა. ჯარი, რომელიც ფარნავაზს დარჩა აზონისაგან, ბერძნებისა და სხვა ხალხებისაგან იყო შემდგარი. ამ ჯარმა ფარნავაზს დაარქო „იპპოტრატი,“ როგორც ამბობს ფოპენი. იპპოტრატი ნიშნავს ცხენოსანი ჯარის უფროსს. ესივე მნიშვნელობა აქეს აგრეთვე წოდებას „ფარნავაზ“. არაბულად ფარ-ცხენია, აეაზ ანუ აეაზი — მაგიერი; ქართულად ფარანუ ფარინიშნავს მფარველს, აეაზ ანუ აეაზა—ეეფხვს. ამ სახით გამოდის, რომ სახელი „ფარნავაზი“ გამოხატავს ამ კაცის თანამდებობას, ესე იგი ცხენოსანი ჯარის წინამძღოლს.

ინგილო ჯანაშვილი

# ნარევი

პოლშაში ერთ კაცს ლეტარგიული ძილით დაუძინია და სხვებს კი ჰგონებოდათ, რომ მოკვდაო, რისაგამოც კინალამ არ დაემარხათ. ყოველივე განკარგულება მოახდინეს დასამარხად. იმას ყველა ესმოდა, რასაც ლაპარაკობდნენ, ასე გაშინჯეთ, ეს საზარელი სიტყვებიც: „ერთი საათის შემდეგ ჩავდოთ კუბოში და ჩაუშვათ საფლავშიო“. საბედნიეროდ დაძინებულს სიცოცხლის ნიშნები გამოაჩნდა; დამარხვა გადასდვეს, და ის უბედური ამ ნაირ მდგომარეობაში თექვსმეტი საათი კიდევ დარჩა. შემდეგ გამოიღვიძა და უამბო სხვებს, რაც იმის სახლში იმ დღეებში რამ მომხდარიყო.

*
* *

ქ. ვლადიმირში ერთი კაცის ცოლს სამი ბავშვი უშობნია მდევრობითის სქესისა;—პირველად ორი, რომელთაც გული გულზედ ჰქონდათ გადაბმული, ორ-ორი ფეხი და ორ-ორი ხელი ცალ-ცალკე ჰქონიათ, თავი ერთი, ორი პირი—ორივე გვერდზედ, ორი თვალი და ერთი ცხვირი; თვალები და ცხვირი თავ-თავის ადგილებზე ჰქონდათ; ბავშვები შემდეგ მონათვლისა დაიხოცნენ.

*
* *

ამ ხშირმა წვიმებმა ისე აამწვანეს, ასე გაშინჯეთ, ჩვენი ქალაქიც, რომ ერთს სისხამ დილას, ნამესტნიკის სახლის დასწვრივ, ბულვრის თავდალმართზე ერთ გლეხ კაცს გამოეშვა ურემი, და ხარები ბულვრის ბეგობზედ ამოსულ ბალახსა სძოვდნენ; თვითონ კი მიწოლილიყო და ტკბილად ეძინა.

*
* *

ბამოჩენილმა ინგლისელ მეცნიერმა დარვინმა აღმოაჩინა ამას წინათ ერთი ისეთი მცენარე, რომელიც ხორცით იკვებება. ერთმა ამერიკელმა ბუნების გამომძიებელმა ისეთი ხე აღმოაჩინა ახლა ავსტრალიაში, რომელიც კაცებსა სჭამს თურმე! ეს საშინელი დიდი ხეა, რომელსაც ფართო და სქელი ფურცლები აქვს. მიუახლოვდება თუ არა კაცი ხეს, იმწამსვე ფოთლები გარს შემოეკვრება და ისე მაგრათ მოკმუშვნის სხეულს, რომ სისხლის ძარღვები უსკდება ადამიანს და რამდენიმე მინუტის განმავლობაში კვდება; და იმის ხორცს ხე ითვისებს. ეს მეცნიერი ამბობს, რომ მე თვითონ ვიყავი მოწმეო, რომ ჩემ თვალ წინ ერთი საწყალი დედაკაცი გაუფრთხილობლობით მიუახლოვდა ამ საშინელ ხესო და იმის ფოთლებმა დაიჭირესო. ბევრი ვეცადნეთ გვეშველა რამე, მაგრამ ვერა მოვახერხეთ რაო: ფოთლები რომ გასჭრეს, ნახესო, რომ ეს დედა-კაცი თითქოორ მძიმე ქვას შუა ყოფილიყო მოტნეული, ისე გაჭეჭყილი იყოვო. ადგილობრივი ველური მცხოვრებლები, როცა ვისმეს მტერობა აქვთ, ცდილობენო, რომ ამ ხისაკენ მიიტყუონო თავის მტერი და იმის მამაკვდინებელ ფოთლებს მისცენ ხელშიო...

# განცხადებანი

მსურს ავიყვანო **მოსამზადებელად-გიმნაზიის** პროგრამმის შესაფერ **საგნებიდამ** და **ენებიდამ**, ისეთი ყმაწვილები, რომელნიც ან ვაკაციების შემდეგ გიმნაზიაში შესვლას აპირებენ, ან გიმნაზიაში იმყოფებიან კიდეც და ან რომელთაც, რომელიმე საგნიდამ, მიმავალი ვაკაციების (კანიკ.) შემდეგ, ხელმეორეთ დასაჭერი ეგზამენია აქვთ გარდადებული.—უფრო დაწვრილებით პირობებზე მოლაპარაკება პირის-პირ შეიძლება.

**ადრესი** იკითხეთ: ქუთაისს, უფ. ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.


ზარდანქეშან-აიარი.

ისყიდება

## პირველი კარი ყარამანიანისა,

სპარსულიდგან ნათარგმნი ქართულს ენაზედ სახლთხუცის და სარდლის **თავადი დავით ოერბელიანისაგან.** საამოთ სასმენელი. ზოგიერთი **სურათებით ყარამანისა, ზარდანქეშანისა** და სხვ.

**გამოცემული დავით ლაზარევისაგან და ნიკოლოზ კოგალაძისაგან.**

**ფასი „პირველი კარისა“ ექვსი შაური (30 კაპ.)**

**ისყიდება** ტფილისს მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, ენფანჯიანცის წიგნის მაღაზიაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში და ხვაგან.

**იბეჭდება** და აგვისტოს თვის 1-ს გამოვა **„მეორე კარი ყარამანიანისა.“**


**მასწავლებელი,** რომელიც რამდენიმე წელიწადი ასწავლის რუსულს ენას, აიყვანს მოსამზადებლად, ძლიერ იაფ ფასათ. **გიმნაზიის ოთხ კლასამდი გასავლელ რუსულ ენაში და სხვა საგნებშიდაც** იმ ყმაწვილებს, რომლებიც გიმნაზიაში, ან სხვა სასწავლებლებში არიან და ვაკაციების დროს მომზადება ეჭვერებათ, ან ეხლა სურთ მიიღონ სასწავლებელში.

**ადრესი** იკითხეთ: **თფილისში, „დროების“** რედაკციაში, **ეორლანოვის სახლებში,** მოლნინის მოედანზე.


**დაიბეჭდა და ისყიდება**

**თამარ საქართველოს**

**ბატონიშვილი**

ისტორიული რომანი

**ბ. რჩეულოვისა.**

**თფილისში:** მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფანჯიანცის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.


**უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება** მეორე გამოცემა **ქართულ-ფრანცუზულ ლექსიკონისა,** რომელიც შედგენილია **ივ. როტანიანცისაგან. ფასი** ერთი აბაზი.

## „დროების“ ფოჩტა

—

**შ—ს, მ. ა. ა—ს.** აბა, როგორ იქნება, თუ არ მოგვეშვებით! ყოველთვის როცა სამღვდელოებაზე რამე დიბეჭდება გაზეთში, თქვენ უთუოთ კერძოთ თქვენს თავზე იღებთ და სტატიას სტატიაზე გზავნით, ვითომ თავის გასამართლებელად! ერთხელ და სამუდამოთ გეხოვთ გაიგოთ, რომ თქვენზე კერძოთ გაზეთში არა იბეჭდებარა. ამასგარდა „დროების“ რედაქციის წინაშე თქვენ სხვა დამსახურებაცა გქვთ და ამის გამო გიცხადებთ, რომ ოდესმე უფალმა თქვენი შეეპირად გადაქცევა რომ ინებოს, მაშინაც ერთი სტრიქონი არ დაიბეჭდება თქვენი კალმის ნაწარმოებისა! ცხადია, თუ არა?...

| რკ. გზა | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| ბორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჭათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია. | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი. | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილნ. . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჭათუბანი | 3 | 27 | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 12 | 30 | 5 | 84 | 3 | 24 |
| ბორი . . | 7 | 23 | 3 | 31 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 8 | 2 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ—ორშაბ. დილის 8 საათ.

სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს—სამშაბათს, ღამით.

ოდესას—კვირას, გათენებისას.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

### ტელეგრაფი

| | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| ბორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაბ. და შაბ. ახალციხეს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ერთ წიგნის . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

### ბირჟა

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 19 ივლისს. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33^1/_8$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $351^3/_4$ სანტიმი. | — | 89 |
| მსკონტი (სარგებლისფასი) | 6 | - |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 75 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 229 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 229 | 50 |
| ბარათის ფურცლები: | | |
| თფილ. საზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 87 | 50 |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 213 | — |
| ფოთი-თფილ რკინ. გზის | 133 | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| ყავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

### მაზანდა

| | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 23 ივლისს | | |
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 10 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 4 | 30 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | — |
| ბაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 7 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 50 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 65 |
| სპირტი, ვედრო. . . | 7 | — |
| შაქარი, კარგი ფუთი . | 8 | 20 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | 80 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | 60 |
| ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. . | 5 | 91 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Іюля 1875 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.